



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



ANASTROZOLE - ARIMIDEX®

რა არის ARIMIDEX

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ანასტროზოლი	ტაბლეტი 1 მგ: თეთრი, მრგვალი არსებობს გენერიკები სხვადასხვა ფორმით 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.
თქვენს შემთხვევაში, არის 1 მგ დღეში, ანუ 1 აბი დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.
გადაყლაპეთ მთლიანად, ერთი ჭიქა წყლით, ან დაფშვნიტ, იმ შემთხვევაში, თუ გიჭირთ მთლიანად
გადაყლაპვა.
მიიღეთ ფიქსირებულ დროს. საკვებთან ან მის გარეშე.
თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 6 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში:
არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან ან მის გარეშე	  
უწყვეტივ	       ... 
	დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.
მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის
განახლება წინასწარ.
გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა
მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის ანალიზი ქოლესტერინისა და ღვიძლის
ფუნქციის მონიტორინგისთვის) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ძვლის სიმკვრივის მონიტორინგს
ოსტეოდენსიტომეტრიის გამოყენებით).
მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
ARIMIDEX®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის
ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი
ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები,
პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ
მაგალითი: მოერიდეთ სოიაზე ან იზოფლავონზე დამზადებული დანამატების ჭარბი დოზით მიღებას
(კონცენტრირებული წყარო) ანასტროზოლთან ერთად. სოიას გამოყენება კვებაში ნებადართულია.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

**ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა
გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის
ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.**

გვერდითი მოვლენები



ყველაზე ხშირი	თავის ტკივილები მოულოდნელი შეხურება საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულის რევის შეგრძნება კანის დარღვევები: კანის გამონაყარი სახსრებში: ტკივილი, სიხისტე ან ანთება სხვა: დაღლილობა, ძვლის მასის დაკარგვა (ოსტეოპოროზი) გინეკოლოგიური დარღვევები: ვაგინალური სიმშრალე, სისხლდენა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში თავის ტკივილები, სახსრების ტკივილი საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები თუ დიდი რაოდენობით და/ან სწრაფად დაკარგეთ წონა ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტჯერ გადიხართ კუჭში ინტენსიური ტკივილი მუცლის არემი ოსტეოპოროზის მაჩვენებელი სიმპტომები მოტეხილობები ალერგიის მაჩვენებელი სიმპტომები ქავილი გამონაყრით სახის, ტუჩების, ენისა და/ან ყელის შებერილობა, რომელიც ხელს გიშლით გადაყლაპვაში ან სუნთქვაში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
მოულოდნელი შეხურება	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
სახსრების ტკივილი	აირიდეთ თავიდან სიცხის წყარო
ვაგინალური სიმშრალე	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
დაღლილობა, ძლიანობა	ინტიმური ჰიგიენისთვის, გამოიყენეთ რბილი, უსუნო საპონი, შესაბამისი pH-ით (pH 5-დან 7-მდე). აირიდეთ თავიდან ინტიმური ჰიგიენის ჩატარება დღეში 2-ზე მეტჯერ, ვინაიდან ეს შეიძლება არღვევდეს ვაგინალურ ფლორას. ნუ ატარებთ ძალიან მჭიდრო ტანსაცმელს და სინთეტიკურ საცვლებს, რომელიც ხელს უწყობს გაღიზიანებას
დაღლილობა, ძლიანობა	უპირატესობა მიანიჭეთ მედიკამენტის საღამოს მიღებას. ამჟამინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებალეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
მოულოდნელი შეხურება	თავიდან აიცილეთ ცხარე საკვების, ალკოჰოლისა და კოფეინის შემცველი პროდუქტების მოხმარება. დალიეთ ცივი სასმელები და დიდი რაოდენობით
გულისრევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალბოჭკოვან საკვებს. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი.



	არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
ძვლის დანაკარგი (ოსტეოპოროზი)	უპირატესობა მიანიჭეთ კალციუმით მდიდარ საკვებს: რძე, იოგურტი და ა.შ.

